ᲐᲕᲔᲠᲡᲘ AVERSI

შ.პ.ს "ავერსი-ფარმა" ს/კ 211386695
0112, თბილისი, საქართველო,
დავით აღმაშენებლის გამზ. №148
ტელ.: (995 32) 2-506-506, 2-997-970
ფაქსი: (995 32) 2911906

"AVERSI-PHARMA" LLC I/N 211386695
148, David Agmashenebeli Ave., 0112,
Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 2-506-506, 2-997-970
Fax: (995 32) 2911906

E-Mail: info@aversi.ge
WEB: www.aversi.ge

№ 177/2 "19" 11 " 2025 წ.

თანხმობა

შპს „ავერსი-ფარმა" (ს.კ 211386695), წარმოდგენილი მინდობილი პირის ლევან გაჩეჩილაძის (პ.ნ 18001000635) სახით, თანხმობას აცხადებს შპს „ავერსი-ფარმას" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, (მდებარე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 16; საკადასტრო კოდით 01.10.15.022.046), შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა"-მ (ს.კ 405018831) განახორციელოს სარეკლამო აბრის მოწყობა თანდართული ფოტომონტაჟის შესაბამისად და მოიპოვოს აღნიშნულისთვის შესაბამისი ნებართვა.

დანართი #1 - ფოტომონტაჟი; მინდობილობა

მინდობილი პირი: ლევან გაჩეჩილაძე


ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲝᲯᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ
1929
ACADEMICIAN
VAKHTANG BOCHORISHVILI
CLINIC

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

96321054311425

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250664049

რეგისტრაციის თარიღი

03.06.2025 წ

ნოტარიუსი: ოთარ გოლოძე
მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N35ა, ბინა N3
ტელეფონი: 577 111 881

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის სამ ივნისს მე, ნოტარიუს ოთარ გოლოძეს (საწოტარო ბიურო, მდებარე მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N35ა, ბინა N3) მომმართეს შპს ავერსი-ფარმა-ს (ს/ნ 211386695) გენერალურმა დირექტორმა გიორგი მელანაშვილმა და შპს ავერსი-ფარმა-ს (ს/ნ 211386695) მმართველმა დირექტორმა ირაკლი ქსოვრელმა, რომლებმაც მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. ამასთანავე მათ მოითხოვეს სანოტარო მოქმედების შესრულება მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №148.

მე გამოვცხადდი ზემოაღნიშნულ მისამართზე, შევამოწმე მათი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი მელანაშვილმა (დაბ. 04.09.1978წ. მის: თბილისი, გიორგი მარუაშვილის ქუჩა, N 8. პ/ნ 01030003760) და ირაკლი ქსოვრელმა (დაბ. 26.01.1989წ. მის: თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, NN86, ბინა 15, პ/ნ 01030028587) მომმართეს.

გიორგი მელანაშვილის, როგორც შპს ავერსი-ფარმა-ს (ს/ნ 211386695) გენერალური დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის N B25069877, გაც. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. 07/05/2025 წ.

ირაკლი ქსოვრელის, როგორც შპს ავერსი-ფარმა-ს (ს/ნ 211386695) მმართველი დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის N B25069877, გაც. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. 07/05/2025 წ.

მე აგრეთვე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ მათ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს მინდობილობა და განაცხადეს, რომ იგი სრულად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

გიორგი მელანაშვილი (პ/ნ 01030003760) როგორც შპს „ავერსი-ფარმა"-ს (ს/ნ 211386695) გენერალური დირექტორი და ირაკლი ქსოვრელი (პ.ნ. 01030028587) როგორც შპს "ავერსი-ფარმა"-ს მმართველი დირექტორი ვანიჭებთ უფლებამოსილებას ლევან გაჩეჩილაძეს (დაბ. 19.03.1968წ. პ/ნ 18001000635), რომ წარმოადგინოს შპს „ავერსი-ფარმა"-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში, საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, მერიაში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოებში, საბაჟო სამსახურებში, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, აქტებს, შეთანხმების აქტებს, მორიგების აქტებს, წარსადგენ დოკუმენტაციას, წერილებს, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია შპს „ავერსი-ფარმა"-ს შესახებ, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებებს/გარიგებებს/შეთანხმებებს, ცვლილებებს, დამატებით შეთანხმებებს, გადაწყვეტილებებს, ოქმებს, აქტებს, სასამართლოში მორიგების აქტებს. აგრეთვე, იგი უფლებამოსილია შპს "ავერსი-ფარმა"-ს გენერალური დირექტორისა და მმართველი დირექტორის სახელით გააფორმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება ამავე საზოგადოების თანამშრომლებთან, გასცეს შიდა მინდობილობა, გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება/შეწყვეტოს ხელშეკრულება ფიზიკურ პირ(ებ)თან და ხელი მოაწეროს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭირო დოკუმენტს, მათ შორის და არამხოლოდ ბრძანებებს/შეთანხმებებს. აგრეთვე, წარმოადგინოს შპს „ავერსი-ფარმა"-ს ინტერესები საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში და მის სერვის-ცენტრებში, მართოს და განკარგოს საზოგადოების კუთვნილი ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო-საფინანსო ოპერაციები. განახორციელოს გადარიცხვები, განაღდება და კონვერტაციები, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით, მიიღოს მისი პაროლი/გასაღები. ასევე მართოს შპს „ავერსი-ფარმა"-ს წილები იურიდიულ პირებში, შპს „ავერსი-ფარმა"-ს, როგორც პარტნიორის/დამფუძნებლის/აქციების მფლობელის სახელით მიიღოს მონაწილეობა პარტნიორთა/დამფუძნებელთა/აქციონერთა კრებებში, მიიღოს გადაწყვეტილება, მოაწეროს ხელი შესაბამის ოქმებს/გადაწყვეტილებებს, განახორციელოს შპს "ავერსი-ფარმა"-ს მონაწილეობით ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის საზოგადოების დაფუძნება/რეგისტრაცია, წესდებაში ცვლილების შეტანა, ადნიშნულთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებ(ებ)ს, განცხადებ(ებ)ს, წესდებ(ებ)ს და ყველა საჭირო დოკუმენტ(ებ)ს, შეასრულოს ნებისმიერი სხვა ორიდიული ფორმალობა დაკავშირებული ყველა ზემოადნიშნული დავალებ(ებ)ის შესრულებასთან და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება და პროცედურა, რაც საჭირო გახდება შპს "ავერსი-ფარმა"-ს მართვასთან დაკავშირებით.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 3 ივნისიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ოთარ გოლოძის სანოტარო ბიუროს არქივში (დანართი: B25069877, ამონაწერი, შპს ავერსი-ფარმას წესდება ინახება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ვებ-გვერდზე), დანარჩენი გადაეცათ მინდობილობაზე ხელმომწერებს.

საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად 30 ლარი, 35 ლარი, თანახმად 34-ე მუხლისა და 5 ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ: 11.70 ლარი.

გიორგი მელანაშვილი

ირაკლი ქსოვრელი

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე